ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **97-97233283**
თარიღი: **24/11/2023**

ადრესატი: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: დაბა ლენტეხი, თამარ მეფის ქ 24

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გია ონიანს

ბატონო გია,

საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 91-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად გიბრუნებთ ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტს და პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს მიერ მომზადებულ შენიშვნებს:

1. აუცილებელია ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ლენტეხის მუნიციპალიტეტში დაბის განაშენიანების გენერალური გეგმის პროექტისთვის საჭირო თანხა (საფუძველი: ყოველდღიური შემხვედრი პრობლემები, უნებართვო მშენებლობები მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება);

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას სოფ. სასაშში აფხაზეთის ომში დაღუპული ემზარ ონიანის საფლავის შესაკეთებლად საჭირო თანხა 10000(ათი ათასი) ლარი. (საფუძველი: სოფ. სასაშის მოსახლეობასთან შეხვედრის დროს გამოთქმული პრობლემა);

3. ტერიტორიულ ერთულებში, სადაც შეიძლება დასუფთავების სამსახურის სპეციალური მანქანის მომსახურეობა, აუცილებელია 2024 წლის ბიუჯეტის არაფინანსურ აქტივებში გათვალისწინებული იქნას 50 (ორმოცდაათი) სანაგვე ურნის შესაძენად საჭირო თანხა. (საფუძველი: ტერიტორიული ერთეულებში მოსახლეობასთან შეხვედრების დროს დაფიქსირებული მოქალაქეების თხოვნა);

4. გათვალისწინებული იქნას ა (ა) იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების თანამშრობლებისთვის სახელფასო სარგოს 100 ლარიანი მატება. (საფუძველი: 2018 წელს მთავრობის მიერ დაანონსებული პროგრამა).

6. 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ტერიტორიულ ერთეულებში დამონტაჟებული გარე განათების მოვლა - შენახვისთვის და რეაბილიტაციისთვის საჭირო ხარჯები. (საფუძველი: მოსახლეობასთან შეხვედრების შედეგად გამოთქმული პრობლემა);

7. წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში სუბსიდირების მუხლში 2023 წელთან შედარებით არის სუბსიდიის კლება და შესაბამისად აუცილებელია მერის ახსნა -განმარტებითი ბარათი ამ საკითხთან მიმართებაში, თუ რამ განაპირობა აღნიშნული პროცესი;

8. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლში გათვალისწინებული იქნას საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების მატება 10000 (ათი ათასი ლარით);

9. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებისთვის მათი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე გასათვალისწინებელია სახელფასო სარგოს მატება. (საფუძველი: მერის

წარმომადგენლების ერთობლივი განცხადება);

10. ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას საარქივო მომსახურეობისათვის საჭირო თანხები. (საფუძველი: საქართველოს ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის წერილი);

11. გათვალისწინებული იქნას შეზღუდული შესაძლებლობის პირთა დახმარების 30%-იანი მატება. (მოტივაცია: ბენეფიციართა წერილობითი და სიტყვიერი მომართვა)

პატივისცემით,

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი